

ალბათური ურანგო პრედიკატული ლოგიკა

ლალი ტიბუა

ხელოვნური ინტელექტის დასაბამიდან, ეგრედ წოდებული 'გონებრივი' ამოცანების ამოსახსნელად დამოუკიდებლად გამოიყენებოდა ლოგიკური და ალბათური მეთოდები. ალბათობის თეორია პასუხობს გაურკვევლობით გამოწვეულ გამოწვევებს, მაშინ როცა, ლოგიკა უფრო მეტად მოსახერხებელია სრულყოფილი ცოდნის დასაბუთებისათვის. მნიშვნელოვანი კვლევები მიემდგვნა ლოგიკური და ალბათური მეთოდების ერთ ჩარჩოში კომბინაციას, რამაც გამოიწვია ლოგიკურ-ალბათური ფორმალიზმებისა და პროგრამირების სისტემების შექმნა. მოხსენებაში განხილული იქნება ურანგო ლოგიკური თეორიების ალბათური გაფართოება. კერძოდ, განვიხილავთ სინტაქსს, სემანტიკას და გამოყვანის მექანიზმს